

65
968/3



პროლეტარიატის უფრო მეტი



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური კავშირების

ყველასი საბჭოს

უფრო მეტი

№ 2 (325)

1968 წლის თებერვალი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამომცემი

თბილისი



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის



უმალღესი საბჭოს უნყებები

№ 2 (325)

თებერვალი

1968 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

13. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა და სამოქალაქო სამართლის საპროცედო კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.
14. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულების მე-15 მუხლში დამატების შეტანის თაობაზე.
15. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკაში დიეტური კვების ორგანიზაციის მდგომარეობის შესახებ.
16. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ დასახლებული პუნქტების ქუჩების, მოედნებისა და მათი სხვა შემადგენელი ნაწილებისათვის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა სახელების მიკუთვნების წესის შესახებ.
17. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

განყოფილება მეორე

18. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
19. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშ. ნ. ი. ანთაძის მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
20. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშ. ს. ფ. ჭელიძისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
21. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ დამსახურებული მედიკოსის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
22. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა არმიის ოფიცრებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

52701

იმას სპ. სპ.

23. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ი. მარგველაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
24. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ლ. მიხლინის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
25. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ტ. გელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
26. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ი. ვენაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
27. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სახალხო კონტროლის აქტივისტთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
28. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა არმიის კადრის, თაფარივისა და გადამდგარი ოფიცრების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ბანყოფილება მისამი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.

საინფორმაციო ცნობა.

ბანუყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

13 საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონ-
 თა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში
 ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

„შვილების სარჩენად ალიმენტის გადახდისა და გადახდევინების წესის გაუმჯობესების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 21 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსში შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. კოდექსის 32¹ მუხლი ჩაითვალოს 31-ე მუხლად.

2. დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის 32-ე, 32¹, 32², 32³ და 32⁴ მუხ-
 ლები.

„32. თუ ალიმენტს შვილების სარჩენად აკისრებენ მშობლებს — კოლ-
 მეურნეებს, აგრეთვე მუშებსა და მოსამსახურეთ, რომელთაც შემოსავალი აქვთ
 საკარმიდამო ნაკვეთის დამხმარე მეურნეობიდან, კოლმეურნეობის საზოგადო-
 ებრივ მეურნეობაში მუშაობისათვის მიღებული შემოსავლიდან და ხელფასიდან
 ალიმენტის წილობრივი გადახდევინების გარდა შეიძლება გადაახდევინონ აგ-
 რეთვე განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელსაც დაადგენს სასამართლო იმ
 შემოსავლის შესაბამისად, რასაც იღებს მოპასუხე დამხმარე მეურნეობიდან.

32¹. შვილების სარჩენად სახსრების დაკავება ხელფასიდან, პენსიიდან, სტი-
 პენდიიდან და სხვა თანხებიდან, რომლებზეც კანონი ავრცელებს ალიმენტის გა-
 დახდევინების მიქცევას, ხდება არა მარტო სასამართლოს გადაწყვეტილებით,
 არამედ იმ პირის წერილობითი განცხადებითაც, რომელიც სურვილს გამოთქვამს
 ნებაყოფლობით იხადოს ალიმენტი, თუ წერილობით განცხადებას წარუდგენს
 იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას, სადაც იგი მუ-
 შაობს ან იღებს პენსიას, სტიპენდიას. განცხადების თანახმად ალიმენტის დაკა-
 ვება ხდება იმ ოდენობით, რასაც კანონი ითვალისწინებს.

იმ პირს, რომელსაც ალიმენტს განცხადების საფუძველზე უხდიან, უფლება
 აქვს, როცა მოისურვებს, სასამართლოს მიმართოს სარჩელით შვილების სარ-
 ჩენად სახსრების გადახდევინების შესახებ, როგორც ამას ითვალისწინებს კანო-
 ნით დადგენილი წესი.

მუხლი 32². საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია
 ვალდებულია განცხადების საფუძველზე ყოველთვიურად მოახდინოს ალიმენ-
 ტის დაკავება და გადაუხადოს (გადაუგზავნოს) დაკავებული თანხა განცხადება-
 ში აღნიშნულ ალიმენტის მიმღებ პირს სამ დღეში ხელფასის, პენსიის, სტიპენ-
 დიისა და სხვა თანხების გადახდისათვის დადგენილი დღიდან.

განცხადებებს ალიმენტის დაკავების შესახებ, აგრეთვე მათი ოდენობის
 შეცვლის ან ალიმენტის დაკავების შეწყვეტის შესახებ ინახავს საწარმოს, დაწე-
 სებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია სააღსრულებო საბუთების შენახვი-



სათვის დადგენილი წესით. თუ მოქალაქე, რომელსაც ალიმენტს მისი განცხადების საფუძველზე უკავებენ, გადავა სხვა სამუშაოზე ან გამოიცვლის საცხოვრებელ ადგილს, ალიმენტს მას დაუკავებენ ხელახლა შეტანილი განცხადების საფუძველზე. ალიმენტის გადაუხდელობის პერიოდში დაგროვილი დავალიანება, ასეთ შემთხვევაში, შეიძლება მოვალეს დაუკავონ მისი განცხადების საფუძველზე ან გადახდევინონ სასამართლოს წესით.

მუხლი 32³. განცხადების საფუძველზე ალიმენტის დაკავება არ შეიძლება, თუ განცხადებისა და აღმასრულებელი საბუთების საფუძველზე დასაკავებელ საერთო თანხა აღემატება მოვალის კუთვნილი ხელფასისა და ხელფასთან გათანაბრებულ გადასახდელისა და გასაცემელის 50 პროცენტს, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მოვალეს სასამართლოს გადაწყვეტილებით ახდევინებენ ალიმენტს სხვა ქალთან გაჩენილი ბავშვებისათვის. ასეთ შემთხვევაში ალიმენტის გადახდევინების საკითხი წყდება სასამართლოს წესით, რასაც აცნობებენ განმცხადებელსა და იმ პირს, ვისაც ალიმენტი უნდა გადაუხადონ.

მუხლი 32⁴. იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვები მოთავსებული არიან საბავშვო დაწესებულებაში და იმყოფებიან სრულ სახელმწიფო უზრუნველყოფაზე, მეურვეობის ორგანოებს ან საბავშვო დაწესებულებებს უფლება აქვთ სახსრები შეიღების სარჩენად სასამართლოს ძალით გადაახდევინონ მშობლებს, თუ ისინი კანონით არ არიან გათავისუფლებული შეიღების სარჩენი გადასახადისაგან. ასეთ შემთხვევებში შეიღების სარჩენი სახსრები იმ ოდენობით, რაც დადგენილია კანონით მშობლებისათვის შეიღების სარჩენად ალიმენტის გადახდევინების შესახებ, გადახდება თვითივე მშობელს იმ საბავშვო დაწესებულების სასარგებლოდ, რომელშიც ბავშვი იმყოფება. სასამართლოს შეუძლია გაითვალისწინოს მშობლების მატერიალური მდგომარეობა და გაათავისუფლოს ისინი მთლიანად ან ნაწილობრივ ამ სახსრების გადახდისაგან. ასეთ შემთხვევაში უნდა შეწყდეს შეიღების სარჩენად ალიმენტის გადახდევინება, რაც დაკისრებული აქვს ერთ-ერთ მშობელს (მეურვეს, მზრუნველს)“.

II. დამატოს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსს შემდეგი შინაარსის 396¹ და 396² მუხლები:

„**მუხლი 396¹.** ცნობები იმ პირის შესახებ, რომელსაც ალიმენტის გადახდა ევალება

წარმოების, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციამ, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ახდენს შეიღების ალიმენტის დაკავებას, სამი დღის ვადაში უნდა აცნობოს სასამართლო აღმასრულებელს გადაწყვეტილების აღსრულების ადგილის მიხედვით და ალიმენტის მიმღებ პირს ალიმენტის გადახდელის სამუშაოდან წასვლა, აგრეთვე მისი ახალი სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილი, თუ ეს მისთვის ცნობილია.

ის პირი, რომელსაც ალიმენტის გადახდა ევალება, ვალდებულია იმავე ვადაში შეატყობინოს სასამართლო აღმასრულებელს სამუშაოს ან საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის, აგრეთვე დამატებითი გამომუშავების (შეთავსებითი სამუშაო და სხვა) შესახებ.

თუ ეს ცნობები არ იქნა წარმოდგენილი არასაპატიო მიზეზით, ლოს შეუძლია, სასამართლო აღმასრულებლის წარდგინებით, დააჯარიმოს თანხით 10 მანეთამდე ამაში დამნაშავე თანამდებობის პირნი ან მოქალაქენი.

მუხლი 396². შვილების სარჩენად აღიმენტის გადახდევინების თავისებურებები

როდესაც ხელფასს ან სხვა შემოსავალს — პენსიას, სტიპენდიას — უხდიან იმ პირს, რომლის პასპორტშიც არის აღნიშვნა (ჩანაწერი), რომ სასამართლოს ვადაწყვეტილების შესაბამისად მას ევალება აღიმენტის გადახდა, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია ვალდებულია აღმასრულებელი ფურცლის მიღებამდე დაუკავოს აღიმენტი პასპორტში აღნიშნულის (ჩანაწერის) შესაბამისად იმ წესით, რომელიც დადგენილია აღმასრულებელი ფურცლით დაკავებისათვის და ამის შესახებ უნდა აცნობოს ამ რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლოს აღმასრულებელს; თუ უცნობია მისამართი იმ პირისა, ვისაც აღიმენტი უხდიან, დაკავებულ თანხას გადარიცხავენ სახალხო სასამართლოს დებო-ზიტურ ანგარიშზე. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია სასამართლო აღმასრულებლის წარდგინებით დამნაშავე თანამდებობის პირნი დააჯარიმოს თანხით 10 მანეთამდე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანჭავაძე.

თბილისი, 1968 წლის 28 თებერვალი.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

14 „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულების მე-15 მუხლში დამატების შეტანის თაობაზე

„საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების შეცვლისა და ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე“ და „სახელმწიფო სამთო ტექნიკაში დველობის ორგანოების საქვევონტროლო მრეწველობის დარგებში და ობიექტებზე სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოების წესების, ნორმებისა და ინსტრუქციების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 23 იანვრისა და 9 თებერვლის ბრძანებულებების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

„ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულების (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1962 წ., № 11, მუხ. 159) მე-15 მუხლს სიტყვების შემდეგ „სამხედრო აღრიცხვის წესების დარღვევისათვის“ დამატოს სიტყვები „და სამხედრო კომისარიატის

გამოძახებებზე სამხედროვალდებულთა და წვევაძღელთა არასაპატიო მიზნით გამოუტყნადებლობისათვის“ და სიტყვების შემდეგ „ტექნიკური უშიშროებისა და შრომის დაცვის წესების დარღვევისათვის“ დაემატოს ასეთი შინაარსის აბზაცი: „სახელმწიფო სამთო ტექნიკდამხედველობის ორგანოებს — სახელმწიფო სამთო ტექნიკდამხედველობის ორგანოების საქვეყონტროლო მრეწველობის დარგებში და ობიექტებზე სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოების წესების, ნორმებისა და ინსტრუქციების არაერთგზის დარღვევისათვის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწანიძე**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვამჩაძე**.

თბილისი, 1968 წლის 28 თებერვალი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

15 რესპუბლიკაში დიეტური კვების ორგანიზაციის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ვაკრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მ. მ. დანელიას მოხსენება — „რესპუბლიკაში დიეტური კვების ორგანიზაციის მდგომარეობის შესახებ“ აღნიშნავს, რომ მთელმა რიგმა საქალაქო და რაიონულმა საბჭოებმა, სავაქრო და სამედიცინო ორგანიზაციებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს დიეტური კვების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. რესპუბლიკაში თანდათანობით იზრდება დიეტური კვების ობიექტების ქსელი, როგორც ცალკეული სასადილოების გახსნის, ასევე საზოგადოებრივი კვების ობიექტებში დიეტური კვების კუთხეების გამოყოფის გზით.

ამასთან ერთად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მოსახლეობის დიეტური კვების სწორი ორგანიზაციის საქმეში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია.

მშრომელთა დებუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოები, სავაქრო ორგანიზაციები და სამედიცინო დაწესებულებები, ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას არ უთმობენ დიეტური კვების ობიექტთა ქსელის შემდგომ გაფართოებას და არსებული ქსელის მუშაობის გაუმჯობესებას.

რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებსა და ქალაქებში საერთოდ არ არის დიეტური სასადილოები (ქ. ტყვარჩელი და ქ. ტყიბული, მახარაძის, ზუგდიდის, სამტრედიის, ქ. თბილისის ლენინის, 26 კომისრის, ოქტომბრის, კიროვის და სხვა რაიონები).

არ სრულდება დიეტური ქსელის გაფართოების სახელმწიფო გეგმები. 1965-66 წლებში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 სასადილოსი. აიხსნა მხოლოდ 6. ანალოგიური მდგომარეობა იყო 1967 წელსაც.

რიგ ქალაქებში ნაცვლად გაზრდისა, სისტემატურად მცირდება დიეტური სასადილოების ქსელი (თბილისი, ფოთი, სოხუმი). ზოგიერთი დიეტური სასადილო მოთაფსებულია ზრულიად შეუფერებელ ადგილზე, უიარვს შენობაში. სასადილოებში არ აქვთ დასასვენებელი ოთახები. დაბალია დამზადებული კერძების ხარისხი, პრაქტიკაში არ არის დანერგილი კერძების წინასწარი შეკვთვა.

სერიოზული ნაკლოვანებებია დიეტური სასადილოების მომარაგების საქმეში. ხშირ შემთხვევაში მათ არ აქვთ სათანადო ასორტიმენტის ხორცი, თევზი, ხილი, ბოსტნეული, მინერალური წყლები და სხვა. განსაკუთრებით ცუდად მარაგდებიან დიეტური პური, სოსისით, ძეხვივით და სახარინზე დამზადებული ლიმონათით. საზოგადოებრივი კვების იმ ობიექტებში, სადაც გამოყოფილია დიეტური კვების განყოფილებები და კუთხეები, საჭირო პროდუქტების უქონლობისა და კულინართა სათანადო კადრების არყოლის გამო იშვიათად მზადდება დიეტური კერძები. ყოველივე ამის შედეგია, რომ დიეტური კვების ობიექტები სისტემატურად ვერ ასრულებენ საქონელბრუნვის გეგმებს.

მოუწესრიგებელია დიეტური კვების ქსელში სანიტარული წესრიგისა და მომსახურე პერსონალის პირადი ჰიგიენის დაცვის საქმე, რესპუბლიკის სამომხმარებლო კომბერაცია არასაკმარის ყურადღებას უთმობს დიეტური კვების ორგანიზაციის საკითხებს. მათ რესპუბლიკაში მოწყობილი აქვთ დიეტური კვების მხოლოდ ერთი კუთხე 24 დასაჯდომი ადგილით, კურორტ საირმეში.

მიუხედავად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მონაწილეობა დიეტური კვების ობიექტთა ქსელის მუშაობის გაუმჯობესების საქმეში სრულიად არადაამაკმაყოფილებელია. ისინი ვერ უზრუნველყოფენ ამ ობიექტებს დიეტეკიმიებითა და ექთანებით, არ წარმოებს მათი მომზადება-გადამზადება.

ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებები გამოწვეულია იმით, რომ რაიონული და საქალაქო საბჭოები ვერ კიდევ არ უთმობენ სათანადო ყურადღებას დიეტური კვების ობიექტების ქსელის გაფართოებისა და გაუმჯობესების საქმეს. თბილისის, ბათუმის, სოხუმის, ცხინვალის საქალაქო საბჭოებსა და მათ მოდმივ კომისიებს არ განუხილავთ დიეტური კვების გაუმჯობესების საკითხები. მოსახლობაში არ წარმოებს სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა დიეტური კვების მნიშვნელობის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს (ამხ. ვ. ზ. თოხაძე) შეიმუშაოს და განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი რესპუბლიკაში დიეტური კვების ობიექტების ქსელის გაფართოებისა და მისი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ცეკავშირის გამგეობამ 1967 წლის 14 ნოემბერს განიხილა საკითხი დიეტური კვების ორგანიზაციის შესახებ და მიიღო გადაწყვეტილება, რომ 1968-70 წლებში რესპუბლიკის 52 რაიონში შეიქმნას დიეტური კვების ობიექტები და დასახა ღონისძიებანი ამ გადაწყვეტილების დროულად შესრულებისათვის.

3. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ (ამხ. ლ. ა. სავარელიძე) მიიღოს საჭირო ზომები დიეტეკიმითა და ექთანთა კადრებით დიე-

ტური კვების ობიექტების უზრუნველსაყოფად და სანიტარული წესრიგის სამტკიცებლად.

4. საქართველოს სსრ კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო-ებმა (ამხ. ამხ. ვ. ი. ვადაჭკორია, ა. გ. ხუროძე), საქართველოს სსრ ვაჭრობისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებთან, აგრეთვე ცეკავშირის გამგეობასთან ერთად შეიმუშაონ ღონისძიებანი დიეტური კვებისათვის საჭირო პროდუქტთა ასორტიმენტის გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიკალურ წყობისა და ტელე-ვიზიის, აგრეთვე ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტებმა, რესპუბლიკურ-ი და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებმა საქართველოს სსრ ჯანმრთელო-ბის დაცვის სამინისტროსთან ერთად, შეიმუშაონ ღონისძიებანი დიეტური კვე-ბის მნიშვნელობის პროპაგანდისათვის.

6. დავალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს მიმდინარე წლის პირველ ნახევარში შეის-წავლონ, განიხილონ და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი დიეტური კვების ქსელის გაფართოებისა და მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

7. საქართველოს სსრ პროფსაბჭომ გააძლიეროს პროფკავშირების ადგი-ლობრივი ორგანოების კონტროლი და მეთვალყურეობა ფაბრიკებში, ქარხნებსა და სხვა საწარმოებში დიეტური კვების ობიექტთა ქსელის გაფართოებისა და მი-სი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისადმი.

8. დავალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის, კვების, ჯანმრთელობის და-ცვის, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროებს, ცეკავშირის გამგეობას, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს ინფორმაცია აღნიშნული დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ წარმოუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მიმდინარე წლის ბოლოსათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი, 1968 წლის 28 თებერვალი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

16 საქართველოს სსრ დასახლებული პუნქტების მუშების, მოედნე-ბისა და მათი სხვა უმადგენელი ნაწილებისათვის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა სახელმწიფო მიკუთვნების წესის შესახებ

„დასახლებული პუნქტების ქუჩების, მოედნებისა და მათი სხვა უმადგენე-ლი ნაწილებისათვის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა სახელმწიფო მიკუთვ-ნების წესის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 19 იანვრის დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს სსრ დასახლებული პუნქტების ქუჩების, მოღნებისა და მათი სხვა შემადგენელი ნაწილებისათვის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა სახელების მიკუთვნების უფლება მიეცეთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტსა და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

საქართველოს სსრ დასახლებული პუნქტების ქუჩების, მოღნებისა და მათი სხვა შემადგენელი ნაწილებისათვის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა სახელების მიკუთვნება უნდა მოხდეს: „მხარეებისათვის, ოლქებისათვის, რაიონებისათვის, აგრეთვე ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტებისათვის, საწარმოებისათვის, კოლმეურნეობებისათვის, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა სახელების მიკუთვნების საქმის მოწესრიგების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 11 სექტემბრის ბრძანებულების შესაბამისად (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1957 წ. № 19).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი, 1968 წლის 28 თებერვალი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

17 საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა დებულებაში ცვლილების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

დებულების პირველი განყოფილების ბოლო აბზაცი ჩამოყალიბდეს ასეთი რედაქციით:

„ცალკეულ მუსიკალურ, საგუნდო, ქორეოგრაფიულ და სხვა საშემსრულებლო კოლექტივებს შეიძლება მიენიჭოთ საქართველოს სსრ დამსახურებული ანსამბლის ან კოლექტივის საპატიო წოდება“.

მეორე განყოფილების ბოლო აბზაცი ჩამოყალიბდეს ასეთი რედაქციით:

„საქართველოს სსრ დამსახურებული ანსამბლის ან კოლექტივის საპატიო წოდება მიენიჭებათ მაღალმხატვრული საშემსრულებლო ოსტატობისა და შემოქმედებითი წარმატებისათვის მუსიკალურ, საგუნდო, ქორეოგრაფიულ და სხვა კოლექტივებს, რომელთა მოღვაწეობა ხელს უწყობს ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარებას“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი, 1968 წლის 28 თებერვალი.

ბანუოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

18 მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებულ სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის, საბჭოთა შეიარაღებული ძალების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“:

1. გიორგი ელიშის ძე აკოფიანი — შიდა დაცვის პოლპოლკოვნიკი.
2. ვლადიმერ არუთინის ძე ბალასანოვა — შიდა დაცვის უფროსი ლეიტენანტი.
3. ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ბალიაშვილი — შიდა დაცვის კაპიტანი.
4. გიორგი ვლადიმერის ძე ბიჭაშვილი — შიდა დაცვის კაპიტანი.
5. ალექსანდრე მიხეილის ძე ბოლოთაევი — შიდა დაცვის უფროსი ლეიტენანტი.
6. ვიქტორ ანდრიას ძე გლაზუნოვი — შიდა დაცვის კაპიტანი.
7. გიორგი ბესარიონის ძე დოლიშვილი — შიდა დაცვის პოლკოვნიკი.
8. ჰამლეტ სარიბეკის ძე ვრაციაიანი — შიდა დაცვის ლეიტენანტი.
9. შაქრო ვლადიმერის ძე ზოიძე — შიდა დაცვის კაპიტანი.
10. დიმიტრი მიხეილის ძე მეფარიშვილი — შიდა დაცვის პოლკოვნიკი.
11. ვასილ სტეფანეს ძე ორეხოვი — შიდა დაცვის მაიორი.
12. მარკ ონისიმეს ძე ოპშა — შიდა დაცვის მაიორი.
13. ნიკოლოზ ანდრიას ძე პლავსკი — შიდა დაცვის მაიორი.
14. ივანე ონისიმეს ძე რუბცოვი — შიდა დაცვის პოლპოლკოვნიკი.
15. რაყდენ რომანოზის ძე საბანაძე — შიდა დაცვის კაპიტანი.
16. ოთარ აკაკის ძე ქორქაშვილი — შიდა დაცვის უფროსი ლეიტენანტი.
17. ვახტანგ ნიკოლოზის ძე შარაბიძე — შიდა დაცვის პოლპოლკოვნიკი.
18. გიორგი პალადიონის ძე ჩაჩანიძე — შიდა დაცვის მაიორი.
19. გიორგი პართენის ძე ჩიქვილაძე — შიდა დაცვის კაპიტანი.
20. გრიგოლ შერმანდის ძე ჯიბლაძე — სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძონდინძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ძვანაძე.

თბილისი, 1968 წლის 19 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

19 ამხ. ნ. ი. ანთაძის მიმართ „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობის დროს გამბედაობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდეს ჩოხატაურის რაიონის კურორტ ბახმაროს საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს თანამშრომელი ნოდარ იუსუფის ძე ანთაძე მედიით „ხანძარზე მამაცობისათვის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაპაძე.

თბილისი, 1968 წლის 28 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

20 ამხ. ს. ფ. ჭელიძისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, ა. გრიბოედოვის სახელობის თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრის მთავარ რეჟისორს ამხ. სერგო ფილიპეს ძე ჭელიძეს მიენიჭოს საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაპაძე.

თბილისი, 1968 წლის 2 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

21 საქართველოს სსრ დამსახურებული მეღვინის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მეღვინეობის განვითარების საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოს საქართველოს სსრ დამსახურებული მეღვინის საპატიო წოდება:

1. რევაზ იუსტინეს ძე არველაძეს — „სამტრესტის“ თბილისის ღვინის № 1 ქარხნის სამჭროს უფროსს.

2. ვახტანგ ფარსადანის ძე ბარბაქაძეს — „სამტრესტის“ ზესტაფონის ქარხანათა სამმართველოს დირექტორს.

3. ვლადიმერ ნიკოლოზის ძე გელაშვილს — „სამტრესტის“ საწარმოლო განყოფილების უფროსს.

4. დიმიტრი ირაკლის ძე ღვალს — „სამტრესტის“ სამგორის ღვინის ქარხნის მთავარ მეღვინეს.

5. გიორგი ივანეს ძე ზარდიაშვილს — „სამტრესტის“ გურჯაანის ღვინის ქარხნის დირექტორს.

6. ეკატერინე მიხეილის ასულ თანდაშვილს — „სამტრესტის“ წინანდლის ღვინის ქარხნის მეღვინეს.

7. ბერცია იორაძის ასულ თარხნიშვილს — „სამტრესტის“ ცენტრალური ლაბორატორიის უფროს მიკრობიოლოგს.

8. გიორგი მიხეილის ძე ლორთქიფანიძეს — „სამტრესტის“ ქუთაისის ღვინის ქარხნის მთავარ ინჟინერს.

9. დავით პორფილეს ძე ნიკოლაიშვილს — „სამტრესტის“ თბილისის კონიაკის მთავარ ტექნოლოგს.

10. სირიხოზ ნიკოლოზის ასულ ქეშელაშვილს — „სამტრესტის“ მუყუხუნის ღვინის № 1 ქარხნის ლაბორატორიის გამგეს.

11. თინა დიმიტრის ასულ ჭიტიაშვილს — „სამტრესტის“ ნაფარეულის ღვინის ქარხნის ლაბორატორიის გამგეს.

12. ალექსანდრე სერაფიონის ძე ჭიხორიას — „სამტრესტის“ ვარციხის ღვინის ქარხნის მთავარ ინჟინერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძიწანიაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამახია.

თბილისი, 1968 წლის 5 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

22 საბჭოთა არმიის ოფიცრებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში ხანგრძლივი და უმწიკვლო სამსახურისათვის, საბჭოთა არმიის ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით, მიენიჭეთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის:

1. ნიკოლოზ ნესტორის ძე ასათიანს
2. დავით მეთოდის ძე გიორგაძეს
3. დავით ილიას ძე კაჟილოტს
4. გურგენ მკრტიჩის ძე კარაპეტიანს
5. ვლადიმერ გრიგოლის ძე კორგანოვს
6. სერგო ვასილის ძე კოსირევს
7. ზურაბ ტრიფონის ძე კოტარიას

8. ალექსანდრე ვლადიმერის ძე მელნიკოვს
9. იზრაილ ექვთიმეს ძე რაზინოვიჩს
10. ივან თევდორეს ძე სუხარნიკოვს

საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის:

1. სერგო ევგენის ძე ავროვს
2. გიორგი კირილეს ძე ანდლულაძეს
3. თემურ მელქისედეგის ძე ახალაძეს
4. ალექსანდრე სერგოს ძე დანელიას
5. ვახტანგ ვარლამის ძე თევდორაძეს
6. იაკობ ლევის ძე იასნის
7. ივან ვასილის ძე კონდრაშინს
8. შოთა ლაზარეს ძე მარდალელიშვილს
9. შოთა დავითის ძე შიქავას
10. ალექსი ფილიპეს ძე შორნევეს
11. ევგენი სტეფანეს ძე სტეფანოვს
12. ვახტანგ სერგოს ძე სურგულაძეს

საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის:

1. რუვიმ მეერი ნისონის ძე ლევიტოვს
2. გალაქტიონ ათანასეს ძე პაიჭაძეს
3. დავით აბრამის ძე ჩერნომორცს

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი, 1968 წლის 21 თებერვალი.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

23 ამხ. მ. ი. მარგველაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე ამხ. ვლადიმერ იოსების ძე მარგველაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი, 1968 წლის 5 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

24 ახს. ი. ლ. მისლინის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობის უფროსი კონსულტანტი ამხ. იაკობ ლევის ძე მისლინი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანჭავაძე.

თბილისი, 1968 წლის 5 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

25 ახს. დ. ტ. გელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. ა. წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის, საბადოთა დამუშავების და აფეთქების ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ამხ. დანიელ ტარასის ძე გელაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანჭავაძე.

თბილისი, 1968 წლის 9 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

26 ახს. ბ. ი. ვენაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა საცირკო ხელოვნების განვითარების საქმეში დიდი დამსახურებისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, თბილისის სახელმწიფო ცირკის დირექტორი ამხ. გრიგოლ იობის ძე ვენაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანჭავაძე.

თბილისი, 1968 წლის 9 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

27 სახალხო კონტროლის აპტივისტთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახალხო კონტროლის განხორციელებაში აქტიური მონაწილეობისათვის, საბჭოთა სახელმწიფოში კონტროლის ორგანოების დაარსების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით, დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. ირმა ნიკოლოზის ასული აკირტავა — სოხუმის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის წევრი.

2. ლევან ალექსანდრეს ძე ალბოროვი — საწარმო „საქტალკის“ სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.

3. ევგენი მიხეილის ძე არვეაძე — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.

4. შოთა ილიას ძე არველაძე — ახალციხის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის შტატგარეშე განყოფილების გამგე.

5. ამიაკ გრიგოლის ძე ალაიანი — ბოლნისის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის შტატგარეშე განყოფილების გამგე.

6. გრიგოლ კარაპეტის ძე ადასაროვი — საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შტატგარეშე ინსპექტორი.

7. არდევან დომენტის ძე ბახსოლიანი — ცაგერის რაიონის სოფელ ორბელის კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.

8. ვაგან ნიკოლოზის ძე ბეგლარიანი — რუსთავის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის შტატგარეშე ბიუროს გამგე.

9. სულთანბეგ მიხეილის ძე ბიბილოვი — ცხინვალის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის შტატგარეშე განყოფილების გამგე.

10. დავით პროკოფის ძე ბოჯუა — ცხაკაიას რაიონის სოფელ ზანას კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.

11. აკაკი ალექსანდრეს ძე ბუაძე — ბათუმის რაიონის გონიოს ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.

